პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 მარტი ოთხშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 55 (15876)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეცხრე ხუთწლედის მეხუთე, გადამწყვეტი წელი აღნიშნეს დამკვრელური შრომით ხახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში. იბრძოლეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის, რესპუბლიკის მშრომელებმა 1973 წელს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიხედვით შესრულეს ვადამდე, 21 დეკემბრისათვის, 7 დღით ადრე, ვიდრე ამას სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებდა. წლიური გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 140,7 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, სამრეწველო წარმოების მოცულობა 1972 წელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება — 5,7 პროცენტით, 2,5-ჯერ და მეტად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც გეგმა ვერ შეასრულეს.

გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია დიდძალი ქვანახშირი, მარგანეცის მადანი, ფოლადის ფილები, თუჯი, ფოლადი, მინერალური სასუქები, ლითონსაჭრელი ჩარხები, სატვირთო ავტომობილები, ცემენტი, შიფერი, ფართო მოხმარების ბევრი სხვადასხვა საქონელი.

გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს ხამშენებლო ინდუსტრიის, ტრანსპორტისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაკებმა 1973 წელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა 1973 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგები და 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ცნეს საქართველოს სსრ შემდეგი ქალაქები, რაიონები, სამრეწველო საწარმოები, ორგანიზაციები, მშენებლობები და ტრანსპორტის ორგანიზაციები და დაჯილდოვეს ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებით:

ქალაქები და რაიონები

ბათუმი, ბაგრა, გორი, ზუგდიდი, ფოთი, რუსთავი, თბილისი, ჭუთაისი, ცხინვალი, ტყიბული, ზესტაფონისა და კასპის რაიონები.

სამინისტროები (უწყებები)

საავტომობილო გზების, საავტომობილო ტრანსპორტის, დამზადების, ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის, აღმოსავლეთ მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროები; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით — ჭიათურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო და გაგრის № 2660 ავტოკოლონა.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხაზით — ფონიჭალის № 4 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველო და გაგრის № 41 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით — ფოთის მოხახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველო და ახალი ათონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით — გორის წყალსადენისა და კანალიზაციის სამმართველო და „თბილწყალსადენკანალიზაციის“ სამმართველო.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის სართავ-საგრიკოტაყო კომბინატი, ქუთაისის სამკერვალო ნაწარმოთა გაერთიანება „გელათი“ და ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკა.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის ბრეზილი ავეჯის კომბინატი და ახალდაბის ავეჯის ფაბრიკა.

საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — ბათუმისა და გორის მექანიკური ქარხნები.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თელავის ხორცის კომბინატი და ბოგდანოვკის მთავარი უყელ-კარაქის ქარხანა.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის № 1 ღვინის ქარხანა, ლაითურის ჩაის ფაბრიკა, თბილისის კონიაკის ქარხანა და სამტრედიის ჩაის ფაბრიკა.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის კერამიკული კომბინატი და ხაბურ-ახალციხელი სამშენაოთა საწარმოო ხამმართველო.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით — ბათუმის სახწავლო წარმოება.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით — № 1 სამშენებლო ტრესტის № 27 მოძრავი მექანიზებული კოლონა და გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველო.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველო, № 2 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველო და ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სახბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს „თბილქსოვილვაჭრობის“ № 1 სპეციალიზებული მაღაზია და № 1 თბილკვებვაჭრობის № 115 მაღაზია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ხაზით — № 8 ტრესტი „ზუგდიდგაზი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალური საშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს ხაზით — თბილისის სპეციალიზებული სამმართველო „მონტაჟთერმოიზოლაცია“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობგაროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს ხაზით — ბათუმის ცენტრალური ბატანნიტო ნავთობბაზა.

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს ხაზით — თბილისის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — ზესტაფონის რაიონის კინოქსელი.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით — თბილისის ფოსტამტი.

საქართველოს საერთო-საგანმანათლებლო სამმართველოს ხაზით — ჰიდროგეოლოგიური და ხაინჟინერო-გეოლოგიური ექსპედიცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ხაზით — „ხაქართველოტექმონტაჟის“ სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — ქალაქ წყალტუბოს ბატყეო მეურნეობა.

ცმპაპშირის ხაზით — „საქკოთმშენის“ ტრესტის ცხაკაიას მოძრავი მექანიზებული კოლონა, მარნეულის რაიხამომხმარებლო კავშირის შაუმიანის ხამომხმარებლო ხაზოგადოება და თელავის ხაკონსერვო ქარხანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — თბილისის № 5 ხაშუალო პროფესიულ-ტექნიკური ხასწავლებელი.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით — მექანიზაციის № 3 ტრესტის მექანიზაციის სამმართველო.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ხაზით — სოხუმის წიქვილკომბინატი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანების ხაზით — თელავის რაიონული განყოფილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამოცემლობების, კოლიბრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — ქუთაისის № 5 ტპადბა.

საქართველოს სსრ საკოლმეურნეოშაბათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა რესპუბლიკური გაერთიანების ხაზით — გურჯაანის ხაკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხაზით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით — თბილისის № 55 ხაშუალო სკოლა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით — გეოლოგიის ინსტიტუტი.

იმ ინსტიტუტების ხაზით, რომლებიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არ შედიან, — საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი.

აღინიშნა გარკვეული ძვრები საქართველოს სსრ შუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მხურვალედ მიულოცეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელებს, სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს — 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის — საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებს სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს, აგრეთვე შეჯიბრების ყველა მონაწილეს და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკები უფრო ფართოდ გაიჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას 1974 წელსა და მომდევნო წლებში, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახალხო-სამეურნეო გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, და ამით ღირსეულ წვლილს შეტანენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებაში. (საინფორმი).

20 აპრილი კომუნისტური შაბათოობის დღეა

ჩვენი ნაწილი ხუთწლედის ფინიშში

ყოველი დღე დამკვრელური

კონკრეტული გრაფიკით...

□

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). შაბათობის დღის შესახვედრად კომბინატის არაერთ უბანზე იკისრეს გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები. ბევრმა მუშამ გადაწყვეტა 20 აპრილს დაზოგილი ნედლეულით იმუშაოს. ასე გაიშალა შაბათობისათვის მზადება თბილისის მაუდკამეოლის კომბინატ „სახჭოთა საქართველოში“.

შაბათობის მოწყობამ შტაბმა შეადგინა სამუშაოთა კონკრეტული გრაფიკი, რომელიც წარმოების ყველა უბანზე დამკვრელურ შრომას ითვალისწინებს. ამ დღეს ფეიერვერი მასობრივად გამოვლენ სამუშაოდ, 2.500 მშრომელიდან 857 ძირითად საქმეზეა შესასრულებელი. გამოშვებული იქნება 13 ათასი მეტრი ხალი ქსოვილი, 7000 კილოგრამი ნართი, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 2.000 მანეთი.

კომბინატის კოლექტივის 1.643 წევრი საწარმოს ტერიტორიის კეთილმოწყობის, დასუფთავების საქმეებზე შესარულებს. შემოგარენში დაირგვება ხეები და ბუჩქები.

მაუდ-კამკოლის კომბინატის კოლექტივის შაბათობისათვის მზადება მიმდინარეობს დეკემბერი: დამკვრელურად აღინიშნოთ შაბათობამდე დარჩენილი ყოველი დღე.

გამომჭრელთა ინიციატივით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). კვარტალის დავალების ვადაზე ადრე შესრულებისა და ლენინური შაბათობის ღირსეულად შეხვედრისათვის გადიდებული ვალდებულებები პირველებმა იკისრეს და კვარტალის ბოლო თვე დამკვრელურად გამოაცხადეს № 2 სამკერვალო საამქროს გამომჭრელთა იმ ბრიგადის წევრებმა, რომელსაც დ. ჯიქია ხელმძღვანელობს.

ხართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ამ ერთ-ერთი წამყვანი საამქროს გამომჭრელებმა ო. მამონტოვამ, თ. ჯღამაძემ, ნ. ბაირიკოვამ, მ. ზაალიშვილმა, ნ. გრიბანოვამ და ვ. მახარობლიძემ გადაწყვეტეს კვარტალის დავალება 20 აპრილს — შაბათობის დღეს შეასრულონ და ამ დღეს ნორმით გათვალისწინებული 1.100 ცალი ზედა ტრიკოტაჟის ნახევარფაბრიკატის ნაცვლად 1.500 ცალი ნაწარმი დაამზადონ.

— გამომჭრელთა ინიციატივას კომბინატის მუშამა კოლექტივმა დაუჭირა მხარი, — თქვა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა მურმან ნიკოლაიშვილმა. — შაბათობის დღეს 1.680 კაცი იმუშაკებს, აქედან 1.380 კაცი ძირითად სამუშაოს შეასრულებს, გამოუშვებს 30.000 მანეთის პროდუქციას და გამომუშაებული ხელფასის 4.000 მანეთს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს.

ჭელს მქსოველებს, მკერავებს, მრთველებს, გამომჭრელებს ენთუზიაზმი არ აკლიათ. ათი მაჩვენებლები განელილ ორ თვეში საამაყოა. დავალება ყველა მაჩვენებლით შეასრულეს — 62 ათასი მანეთით გადაამეტეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმას, ხოლო 157 ათასი მანეთით — საერთო პროდუქციის გამოშვებისას, მომხმარებელს გეგმის ზევით გაუგზავნეს 14 ტონა ნართი, 50 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი.

კერამიკოსების დაპირება

თბილისი. 8.500 მანეთის პროდუქცია გამოვუშვათ და 2 ათასი ძირი ვარდი და ყვავილი დავრგოთ შაბათობის დღეს, ამავე დღეს სამშობლოს ვუპატაკოთ ოთხი თვის გეგმის შესრულება, — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კერამიკული კომბინატის (დირექტორი გ. ბუცხრიკიძე) კოლექტივმა. ამ ვალდებულების შესრულებისათვის შაბათობის მომწყობმა შტაბმა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. ცხვარაძე ხელმძღვანელობს, უკვე შეადგინა სიები, თუ ვინ რაზე იმუშაკებს.

საწარმოს კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა 110.8 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით 52.600 მანეთის ნაწარმი დაამზადა, მომხმარებელს დავალების გადამეტებით გაუგზავნა 4 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილა და 3900 ცალი ნახევარფაიფურის ნაწარმი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ პირველ ადგილზეა ნახევარფაიფურის საამქრო, რომელსაც კ. ტოგონიძე ხელმძღვანელობს. დამკვრელური შრომის მაგალითებს იძლევიან: მუშები ა. მენთეშაშვილი, ი. მელანაშვილი, ვ. ხარატიძე, ნ. ბარამიძე, ვ. მიროტინა.

ხარატი გივი ბარამიძე ორი ათეული წელია თბილისის კალინინის სახელობის ხამხმელო მოწყობილობის ქარხანაში მუშაობს. იგი შრომის წითელი დროშის ორდენოსანი და კომუნისტური შრომის დამკვრელია. მაღალი კლასის ოსტატი მხოლოდ ხანიმშო ხარისხის პროდუქციას უშვებს. კომუნისტი გივი ბარამიძე სათავეში უდგას ქარხანაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. იგი უკვე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში შრომობს.

სურათზე: თბილისის კალინინის სახელობის ხამხმელო მოწყობილობის ქარხნის მოწინავე ხარატი, კომუნისტი გივი ბარამიძე.

Ქ. ᲯᲐᲡᲘᲠᲐᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ლ. ი. ბრეჟნევმამიიღო ამერიკის ელჩი უ. სტესელი

5 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩი ჩარ კავშირში უ. სტესელი. ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის პირადი წერილი.

საუბრის დროს, რომელიც კონსტრუქციული ხასიათისა იყო, განხილულ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხები და ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები ორ ქვეყანას შორის მიღწეულ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა შესაბამისად. იმსჯელეს აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემებზე.

საუბარი ა. ნ. კოსიგინთან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 5 მარტს კრემლში მიიღო ავსტრალიის ელჩი ლ. ჯ. ლორი საბჭოთა კავშირიდან მის მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით, და ესაუბრა მას. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ახალი „დნეპრი“

კიევი. მოტოციკლეტების ქარხანაში გამოშვებულია ახალი მოდელის ეტლიანი მანქანების საცდელ-სამრეწველო პარტია. მანქანას ეწოდება „დნეპრ მტ-10“. მას აქვს ისეთივე დიდი გავლადობა, როგორიც ჰქონდათ ამ მარკის მოტოციკლეტებს აქამდე, მაგრამ უფრო მოხერხებული და საიმედოა ექსპლოატაციის დროს.

წინანდელი ცალ-ცალკე საჯდომების ნაცვლად გამოყენებულია შეწყვილებული საჯდომი. მოტოციკლი აღჭურვილია ახალი კონსტრუქციის ამორტიზატორებით, ოპტიკურელემენტიანი ფარით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გზის განათებას. უფრო სრულყოფილია ელექტრომოწყობილობის სისტემა, რომელიც გათვალისწინებულია არა ჩვეულებრივი ექსი ვოლტისათვის, არამედ თორმეტისათვის. არის ცვლილებანი თვით ძრავაშიც. დადულებული ცვეთამდეგი მასალების დეტალების გამოყენება აღიდებს მის მოტორესურსს 5-10 პროცენტით. ამასთან შესაძრნევად მცირდება სათბობის ხარჯვა.

გამოცდებმა გვიჩვენეს „დნეპრის“ მაღალი საექსპლოატაციო თვისებანი, წლის დამლევამდე გათვალისწინებულია 28 ათასი ახალი მოტოციკლის გამოშვება. (საკდესის კორ.).

ნავთობი სამი ფენიდან

ბაკოს სამხრეთით 170 კილომეტრზე ენი ყიშლაღის მოედანზე ერთი ჭაბურღილიდან მიიღეს პირველი ასობით ტონა ნავთობი ერთდროულად სამი ფენიდან. აქ მუშაობა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში პირველმა სიღრმეშლა სატუმბმა დანადგარმა, რომელიც გათვალისწინებულია სამი პორიზონტის ერთდროულად ექსპლოატაციისათვის. ეს დანადგარი ბაქოელმა მანქანათმშენებლებმა შექმნეს.

დანადგარი შედგება მიწისზედა და მიწისქვეშა მოწყობილობის კომპლექსისაგან, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მიღებას თვითეული პორიზონტიდან ინდივიდუალური არხით სპეციალურ ნაკვეთურში. ეს წარმოების მუშაკებს საშუალებას აძლევს ზუსტად გაითვალისწინონ და მოაწესრიგონ სათბობის მიღება თვითეული ფენიდან.

ზედაპირზე მხოლოდ ერთი საქანელა დანადგარი, რომელსაც ერთობაშად მოძრაობაში მოჰყავს ჭაბურღილში ჩაშვებული სამი ტუმბო, საშუალებას იძლევა დავზოგოთ ბევრი ლითონი, შევამციროთ ელექტროენერგიის ხარჯვა.

ახალი მოწყობილობა, რომელიც მარტივი და საიმედოა ექსპლოატაციის დროს, მნიშვნელოვნად გაადიდებს ჭაბურღილების დებიტს მრავალფეროვან სიღრმეებში. (საკდესის კორ.).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

დაკარი, 5 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კურტ ვალდჰაიმმა დაამთავრა მოგზაურობა დასავლეთ აფრიკის 14 ქვეყანაში და დღეს დაკარიდან ნიუ-იორკს გაფრინდა.

დაკარის აეროპორტში გამოსვლისას კურტ ვალდჰაიმმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ აფრიკის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, ᲒᲐ

ლონდონი, 5 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გამოაცხადეს ინგლისის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჰაროლდ ვილსონი. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი, ფინანსთა მინისტრი — დ. ჰილი, შინაგან საქმეთა მინისტრი — რ. ჯენკინსი, დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების საკითხთა მინისტრი მ. ფუტი და ლეიბორისტული პარტიის სხვა მოღვაწენი.

ჰაროლდ ვილსონი უკვე ორჯერ მეთაურობდა ინგლისის მთავრობას. პირველად პრემიერ-მინისტრი გახდა 1964 წელს, შემდეგ 1966 წლის არჩევნებში ლეიბორისტებმა კვლავ მოიპოვეს გამარჯვება და ხელისუფლების სათავეში იდგნენ 1970 წლის ივნისამდე.

ამრიგად, მთავრობის კრიზისი, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა, დამთავრდა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ლეიბორისტული პარტია, რომელმაც 28 თებერვალს გამართულ პარლამენტის არჩევნებში თვმთა პალატაში მიიღო 301 ადგილი, კონსერვატორებმა მიიღეს 296, ლიბერალებმა —14, სხვა პარტიებმა — 24 ადგილი.

მაგრამ ახალ ლეიბორისტულ მთავრობას თვმთა პალატაში არა აქვს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლისთვისაც, როგორც მინიმუმი, საჭიროა 318 ადგილი 635 ადგილიდან. ეს კი ნიშნავს, რომ თავისი პროგრამის განხორციელების დროს იგი წააწყდება საკმაო სიძნელეებს. ლიბერალები უკვე აცხადებენ, რომ გაილმაქრებენ ლეიბორისტული მთავრობის წინააღმდეგ, თუ ცდება განახორციელოს ნაციონალიზაციის პროგრამა.

არჩევნებში, როცა კონსერვატორთა ეკონომიური პოლიტიკას კრიტიკებდა, ლეიბორისტული პარტია ამმრჩეველებს პირდებოდა, რომ, თუ ხელისუფლების სათავეში ჩადგებოდა, დაუყოვნებლივ მოაწესრიგებდა კონფლიქტს მეშახტეებთან, აღადგენდა ხუთდღიან საშუშაო კვირას მრეწველობაში, შეიკავებდა ფასების ზრდას, მოახდენდა მრეწველობის ცალკეული დარგების ნაციონალიზაციას, გადასინჯავდა „საერთო ბაზარში“ ინგლისის მონაწილეობის პირობებს.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲘᲡᲚᲐᲛᲑᲐᲑᲐᲓ, 5 მარტი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ აპრილის პირველ ნახევარში დელში მოეწყობა პაკისტანის, ინდოეთისა და ბანგლადეშის სამმხრივი შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ

ჩხოროწყუ. („კომუნისტის“ კორ.). გაზაფხული დაიწყო. ჩხოროწყუს რაიონის მინდვრებში ყოველდღე ისმის ტრაქტორების გუგუნი. სიმინდის დასათესად ხნავენ, ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ამუშავებენ ნიადაგს, მინდვრად გაავლეთ სასუქი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდის დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ საგაზაფხულო კულტურების დასათესად ძირითადად ნიადაგი მზრალად არის მოხნული. ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის შეკეთება უკვე დასასრულს უახლოვდება. საჭირო რაოდენობაზე მეტი აქვთ სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესლი.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მარტის ხელსაყრელ დღეებს მაქსიმალურად იყენებენ და ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ ლიესიჭინის, ახუთის, მუხურის, ხაბუმისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. რაიონში უკვე შეკეთდა 24 სათესი მანქანა. ეს პირველ კვარტალის დავალების 100 პროცენტს შეადგენს. რემონტი გაუკეთდა 26 ტრაქტორს და ამით ვადაზე ერთი თვით ადრე განაღდებულ იქნა ტრაქტორების რემონტის პირველი კვარტალის გეგმა. მექანიზატორები ენერგიულად შრომობენ შრომითი დიდების ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის მოსაპოვებლად.

ᲢᲔᲛᲞᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

მარნეული. („კომუნისტის“ კორ.). წელს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩასატარებლად რაიონში საჭიროა 1.253 ცენტნერი მარცვლისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების კონდიციური თესლი. ამ დავალების შესასრულებლად ყარგად იმუშავეს მარნეულის, წერეთლის, შაუმიანის, ყიარლისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა.

რაონში ლაბორატორიაში შესამოწმებლად უკვე მიიტანეს და სათანადო კონდიციამდე აყვანეს 1.450 ცენტნერი სათესლე ძასალა, ეს გეგმის 116 პროცენტს შეადგენს. საკმაო რაოდენობით აქვთ სიმინდის თესლიც.

რემონტი გაუკეთდა 159 ტრაქტორს, და ამით პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს. უკვე ხნავენ ნიადაგს ბოსტნეულისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების დასათესად.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

პარტიული ცხოვრება

კომუნისტთა განაწესი დაივიწყეს

ხაშურიშო-ხაჩარჩევნო კარტიული კრების შემდეგ

საერთო მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ხოხუმის ქიმიურმა ქარხანამ ცუდად როდი დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. საერთო პროდუქციის გამოშვების დაგალება აქ 101,1 პროცენტით შესრულეს. გეგმით გათვალისწინებული 5.890 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულ იქნა 5.956 ათასი მანეთის ნაწარმი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა.

მაგრამ ამ საერთო მაჩვენებლების მიღმა ჯერ კიდევ ბევრი ჩრდილოვანი მხარეა. სწორედ ამ ჩრდილოვან მხარეებზე უნდა გამართათ პრინციპული საუბარი ამ სამეიდე თვის წინათ, როცა ქიმიური ქარხნის კომუნისტები თავიანთი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდარა.

ერთ-ერთი წამყვანი, № 1 საამქროში (უფროსი კ. ნაზარეტიანი) იმ დროისათვის 14 ათას მანეთზე მეტი ღირებულების წუნდებული პროდუქცია გამოვლინდა. მეორე საამქროში კი მისმა უფროსმა კომკავშირელმა გ. იაკობაშვილმა ქარხნის ხელმძღვანელობის თვალწინ 14 ათასი მანეთის საქონელი მიითვისა და შემდეგ უგზოუკვლოდ მიიმალა. საკ

□ ნიუ-იორკი

ნავთობის ნაკლებობა თუ გიზნესი?

□ დამასკო

აგრესორებს საკადრისი მიეზღოთ

□ ინგლისი



მსოფლიო დღეს

ამბები • ფაქტები

საკვლევი და უცხოეთის პრესის საგანგებო ინტერვიუ

სახელმწიფოში გრძელდება მეშახტეთა საერთო ეროვნული გაფიცვა. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას. ახლა ბურჟუაზიული პრესაც იძულებულია აღიაროს გაფიცვის ორგანიზებულობა და გაფიცულთა დისციპლინა. შოტლანდიაში, სამხრეთ უელსში, კენტსა და ქვეყნის ქვანახშირის სხვა აუზებში მეშახტეები ყველაფერს აკეთებენ, რათა დაიცვან სრული წესრიგი შახტებში და თავი აარიდონ პოლიციასთან შეტაკებას. მათ მიიღეს ზომები საგადმყოფოებისა და სკოლების სათბობით შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

სურამაზს: კენტის გაფიცულ მეშახტეთა ხელმძღვანელები თავიანთ შტაბ-ბინაში განიხილავენ ქვეყნის სამხრეთ რაიონებში გაფიცვის მიმდინარეობას.

დამთავრდა ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება კაიროში

კაირო, 4 მარტი. (საკუთრ.). ხუთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც ოფიციალური ვიზიტით არის აქ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით, დღეს იყო პალუსნის მეტალურგიულ კომბინატში, რომელიც საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური სელშეწყობით შენდება.

მას გულთბილად მიესალმნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი იბრაჰიმ სალემ შუაბადინი, კომბინატის დირექტორთა გაძგიობის პრეზიდენტი აბდელ აზიზ ქაბალი, ეგვიპტელი და საბჭოთა სპეციალისტები, კომბინატის მუშები და მშენებლები.

კომბინატის დათვალიერების შემდეგ მასპირივი მიტინგი გაიმართა მის ერთ-ერთ მშენებარე საამქროში, რომელიც მორიული იყო ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღიდებელი ლოზუნგებითა და საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით.

მიტინგზე გამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი.

შემდეგ გამოვიდა ა. ა. გრომიკო, რომლის სიტყვის დროს ბევრჯერ გაისმა შეძახილები საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის მეგობრობის აღსანიშნავად.

მიტინგი გადაიქცა ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

კაირო, 4 მარტი. (საკუთრ.). დღეს მოლაპარაკება განაგრძეს აქ ოფიციალური ვიზიტით მყოფმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფაჰმიმ.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა სტუმრის გაუმართა საუზმე, რომელზეც ი. ფაჰმიმ და ა. ა. გრომიკომ სიტყვები წარმოთქვეს. საუზმეზე იყვნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარე ჰაფეზ ბადაუი, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჰაფეზ განემი, მრეწველობის მინისტრი ი. ს. შუჰამადეინი, სამხედრო მინისტრი აჰმედ ისმაილ ალი, კულტურის მინისტრი უსეფუ ესსიბაი და ეგვიპტის მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი

ამუდ რაიდი.

კაირო, 5 მარტი. (საკუთრ.). დღეს აქ დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ეგვიპტის პრეზიდენტ რეზა ანუარ სადათის ურთიერთობა. ეგვიპტის სოციალისტური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ეგვიპტის ინფორმაციის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ბანკეტზე ამოიღო სადღეგრძელო ეგვიპტელ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური ურთიერთობის ფართოდ გაშლის, ეგვიპტელ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ეგვიპტელ-საბჭოთა ერთობის, ეგვიპტელ-საბჭოთა ერთობის, ეგვიპტელ-საბჭოთა ერთ

მე და ჩემი პროფესორი

სერგი ჟილაიამ დაამთავრა, ახალი წიგნის „მე და ჩემი პროფესორის“ მე-2 ნაწილი. ამ წიგნის ხუთეთეხო ფურცლები ეძღვნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღზრდილ ქალვაჟებს, სამშობლოს საქართველოს აქტიურ მშენებლებს, რომელთა ფიქრი, ოცნება, პატიოსანი შრომა და თვით სიყვარულიც სამშობლოს საქართველოს განმტკიცებას ემსახურება, აქვე ნაჩვენებია ზოგიერთი ის უღირსი, ნიღაბამოფარებული მეშჩანიც, რომლებიც ცდილობენ გზა ჩაუხერგონ ცხოვრების წინსვლას.

ვკითხოთ ვხედავთ ერთ თავს ამ წიგნის მე-2 ნაწილიდან.

ექიმის ჩანაწერები

სამამულო ომი დაიწყო, და სულ მალე ახალგაზრდა გინეკოლოგი საველე ჰოსპიტლის ქირურგი გავხდი. პირველი ოპერაცია დაჭრილ წითელარმიელს . 1942 წლის მაისში გავუკეთე. მერე ბევრნაწერამ ბევრი მათრია. ჩემს ჰოსპიტალთან ერთად ბერლინს შევაღწიე...

1954 წელს ჩემს რაიონს დავუბრუნდი ჯანგატეხილი და თმაგაჭაღარავებული. ისევ გინეკოლოგობას მივყავი ხელი. იმ დღეს კაბინეტში გაზეთს ვკითხულობდი. უცბად გაბმულმა ზარის ხმამ შეშაკრთო. კარი გავიღე და ოთახში აცრემლებული საშუალო ტანის, საზაფხულო თხელ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი შემოვიდა, მიმეველეთ ექიმოო, — ამოიკვნესა და გული შეუღონდა.

ერთბამად გონს მოვეგე. ხელთ ავიტაცე ეს გამხდარი, პატარა ტანის ქალიშვილი და ტახტზე ფრთხილად დავაწვინე, მაჯა გავუსინჯე, პულსი ნორმალური ქონდა. თითქოს საფრთხე არ უნდა იყოს-მეთქი, დავასკვენი, არადა, ქალი გულშეღონებული იწვა ტახტზე. ვალერიანის წვეთები ჭიქაში ჩავთვალე და ტუჩებთან მივუტანე. კრიჭაშეკრულს ძალით შევასხი. მალე წყლიანი ცრემლიანი თვალები მომაშეკრა და მუდარით მითხრა:

— უნდა მიშველო, ექიმო, აბ... — ხიტყვა გაუწყდა. გავსინჯე, უკვე ხაშიში იყო ოპერაცია...

— შემაცდინეს, მომატყუეს, შემპირდა, ფიცით დამიდასტურა, მაგრამ მწარედ მომატყუა.

ვინ-მეთქი, ინსტინქტურად ვკითხე. თვალებიდან ცრემლები გადმოყარა და ქვითინით თქვა — გივომ, ჩვენი რაიკომის მდივნის შვილმა.

— როგორ თუ გივომ? იმან ხომ ცოლი შეირთო?!

— კოო, შეირთო!

ისტერიული ტირილი აუვარდა. ძლივს დავაშშვიდე.

— მამამისმა თუ იცოდა, რომ მისი შვილის საცოლე იყავ?

—იცოდა, — ისევ ტირილით მიპასუხა, — ისევ ტირილით რომ ორსულად ვიყავი, მე თავად შვილიერ, მაგრამ არ დამშოდა, არ შეიცოდა...

ბრაზი მომერია, ხელი ვუშვი ქალიშვილს და ტელეფონს მივკიდე, გადავწყვიტე დამერეკა და ყველაფერი გამომერკვია. ქალიშვილი მიმიბვდა განწრახვას და ატირებულმა მუდარით მთხოვა:

— ახლა უკვე ყველაფერი გვიან არის, არაფერი გამოვა ამ წამხდარი საქმიდან. მე ვიცი, თქვენ ექიმი ხართ და არ გახთქვამთ ჩემს საიდუმლოს. მაგრამ მაინც უნდა გაგაფრთხილოთ: ეს რომ მამაჩემმა გაიგოს, გული გაუსკდება. მე რომ მამის სიკვდილისა არ შემშინებოდა, უთუოდ თავს დავიხრჩობდი.

— მამაჩემს ხიკეთის გარდა სხვა არაფერი უკეთებია ამ რაიონში, მაგრამ სიკეთისათვის სიკეთე აბა ვისა რგებია, რომ მამაჩემს რგებოდა.

— ესა თქვა და წელში გასწორდა, აგრეზნებით წარმოთქვა: — თქვენ ყველანი, მისი მოწაფეები, ვალში ხართ მამაჩემის წინაშე, მაგრამ ვაი რომ ზოგი ისე უხდის მას, როგორც რაიკომის მდივანმა გადაუხადა.

უცბად წამარბაცდა, ხელი მოგაშველე, სკამზე დავსვი. ქვითინი აუვარდა, ძლივს დავაშშვიდე. ეურჩიე ქალისთვის მთავარი შვილია, თქვენ ბალე დედ ინქნეთ-მეთქი. არ დამაცალა სიტყვის გაგრძელება და სახლიდან ფეხაკრეფით გავიდა, გაუჩინარდა ღამის სიბნელეში... ჩემი რჩევა არ შეესმინა და ექიმბაშისათვის მიემართა, რის შედეგადაც მოიკვლა, ოღონდაც ჩავარდა. ქალიშვილს თავისი საიდუმლო დეიდისათვის გაეხდო და მე მომიხმეს.

პატარა ეზოკარი ისე გავიარე, არავინ შემხვედრია, ალაანზე ორი გავიდი, მოხუცებულმა დეიდამ შემოპატიჟა ავადმყოფთან. სასტუმრო ოთახიდან ავადმყოფის საწოლ ოთახში შევედით. უკმეხი ხმა მომესმა — ვინ არისო, იკითხა, გავვიცდი, ავადმყოფის საწოლის წინ დარჩენილ მამა ქვეყნის გაბრწყინს ეკედრებოდა ქალიშვილის გადარჩენას. ამ მდგომარეობაში რომ შევუსწარი, ალბათ, უკმეხი კითხვაც ამის ბრალი იყო. გაფითრებული მამა ფეხზე წამოდგა და რომ მიცნო, უფრო გაფითრდა. მეც დავიბენი, მაგრამ ქალიშვილმა იცარჯა და მამას უთხრა:

— მამა, ხომ იცნობ ჩვენს ექიმს, შენი ნამოწაფარია, ხომ?

მამამ რაღაცნაირად ჩაილაპარაკა, როგორ არა, როგორ არაო და ოთახიდან გავედი.

სიცხისაგან ლოყებგაწითლებული ქალიშვილი უღონოდ შემომაცქერდა. ძე იქვე ლოგინის წინ დადგმულ სკამზე ჩამოვჯექი. პატარა საწოლი ოთახი დიდი გემოვნებით იყო მორთული. სარკის წინ ლანგრებში თეთრი ვარდები ჩაეფოთ. ავადმყოფის საწოლზე იწვა, ვარდისფერივე საბანი ეხურა. მაჯა გავუსინჯე და სახეზე შევხედე. ლოყებზე ისეთივე მსხვილი ცრემლები შევნიშნე, როგორიც იმ საბედისწერო დღეს. გავსინჯე, ძლიმე ფორმის სეფსისთან გვქონდა საქმე. სასწრაფოდ ვიღონე ყველაფერი. დიდხანს ვუმკურნალე და სიკვდილს გადავარჩინე. მამა ყველაფერს მიხვდა, ჯერ ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა. ქალიშვილი რომ მობრუნდა, და უკეთ შეიქნა, მამას ბულის შეტევები დაეწყო და ათ დღეში გარდაიცვალა. გულის ინფარქტით. ქალიშვილის მამა რომ დავასაფლაეთ, მეორე დღესვე რაიკომის მდივანს მივუხტი და აღელვებით განვუცხადე: თქვენ ვაჟიშვილი გივი კაცის მკვლელია-მეთქი.

— რომელი კაცისა? — შეაცხადა ერთბაშად.

— იმ მასწავლებლისა, გუშინ რომ დავასაფლავეთ!

გონს მოეგო და შემომიტია, როგორ მობედავო, მე რა შუაში ვარო.

შენ და შენი შვილი ხართ იმის ქალიშვილისა და იმ კაცის გამაუბედურებელნი-მეთქი და მოგუყვი რაც ვიცოდი, მაგრამ კი იყვირა და იყვირა: — ალბათ შენ, შენ თვითონ თუ ეგაცდინე ის ქალიშვილი, მერე აბოლოს ჩემს ხელში დამალული და როცა იგი ამ თვირ ქაღალდზე გავამეღავნე — მე თვით შემეშინდა ამ ფიქრებისა. ჰოდა, როცა ამ წერილს წაიკითხავ, თავად მიხვდები, რატომ ვარ ასეა ასე შეძრწუნებული...

ეს წერილი გავზავნე და ერთბანს მოვთვლენ, ის ღამეც კარგად მეძინა. მეხუთე დღეს ისევ ავწრიალდი ახლა მთლად დავკარგე მოსვენება სულისა. მოუსვენრად ველოდი პასუხს, პასუხი კი არსად ჩანდა... ახლა უცნაური ფიქრები დამეუფლა. იქნება არ იყო ჩემი საქციელი სწორიოზული კაცის ტკეუნ ნაყოფი! ასე შეეძლო მოქცეულიყო 18-20 წლის ყმაწვილს. იმ ღამეს, უძილო ღამეს ჩემს თავს ვეკამათებოდი, ვებრძოდი: „შენ, ამდენი ხნის ექიმს ასეთი ამჩატება არა გშვენის“. ეს მხოლოდ ამ საღამოს იყო.. მეორე დღეს კი ისევ ველოდი წერილს, ჩემი გულწრფელი გრძნობის პასუხს და ახლა ირნეს ვამტყუნებდი, რომ არ ეხმაურებოდა ჩემი გულის ძახილს.

მე მიყვარს, მიყვარს ის გოგიუბით, რა გაცვეთილიც არ უნდა იყოს ეს სიტყვაც, მე ამ სიტყვებს გულწრფელად ვიმეორები ყოველდღე, ყოველ საათს და წუთს...

დღეს ჩვენს კლინიკაში ყველამ შემამჩნია, რომ უქეიფოდ ვიყავი. ქერათმიანმა ნათელამ გამიბედა და ეკითხა კიდეც, ბატონო ალექსანდრე, რამე ხომ არ შეგემთხვათო. არაფერი ვუპასუხე, უფრო დაეინებით ჩამაცივდა, მაშინ ვიცრუე, შეუძლოდ ვარ-მეთქი. არა! ეს მართალია, მე მართლაც ავად ვარ, თავი მტკივა, გული მიწუხს... ავადა ვარ შენი სიყვარულით, ჩემო! არ ვაჭარბებ, არც ვიგონებ — დიახ, შენი სიყვარულით

ავარ ავად. დღეს კლინიკაში ფეხმძიმე ქალი მოიყვანა „სასწრაფომ“. გავსინჯე — ოპერაცია იყო საჭირო. მე კი გაოგნებული ვიდექი, ვერაფერი გაღამეფუყეტა. უკვირდათ ჩემს კოლეგებს. ამასობაში ქალს გული შეუღონდა. უცბად გონს მოვეგე — ის ქალი შენ მიგამსგავსე, ის საღამო მომაგონდა, შენ რომ ჩემთან მოხვედი ფეხმძიმე... იმ ქალსაც ისეთივე ტანისამოსი ეცვა — მარწყვისფერად დაწინწკლული ჩითის კაბა, — შენ რომ გეცვა მაშინ, ჩემთან რომ მოხვედი. ეს ქალიც ისე ტიროდა, როგორც შენ მაშინ. ამის მოგონებამ მე ერთბაშად მაქცია იმ კეთილ ექიმად, შენ რომ გიმეველა მაშინ. ამ მსგავსებამ მომცა მე ძალა და ნებისყოფა, რომ მეშველა იმ ქალისათვის. იცი, კიდევ რა მსგავსება დავინახე? იმ ორსულმა ქალმა ისეთი წყლიანი და ცრემლიანი, მუდარით სავსე თვალებით შემომხედა, როგორც შენ მაშინ!

გუშინ ჩემთან მოვიდა მაშინდელი ჩვენი რაიკომის მდივნის (ალბათ გახსოვთ, ეს აუგად სახსენებელი კაცი) შვილი გივი. ვიცი, არ გესაუბრენება ამ სასეელის გაგონება, მაგრამ თვით ამბავია საინტერესო და ამიტომ გწერ. მომესალმა, შევხედე, ვერ ვიცანი, ვიღაც გასავთებული, წელში ორად მოხრილი, გამხდარი, პირგაუპარსავი კაცი მელაპარაკება, მაგრამ არცერთი სიტყვა არ მესმის, მერე ძლივს დამშვიდდა. გამაგებინა, თურმე ავად ყოფილა და ჩვენს კლინიკაში ნევროპათოლოგიურ განყოფილებაში მოსურვებია დაწოლა სამკურნალოდ და მე დახმარებას მთხოვდა. მერე ის იყო დაეწვინეს საავადმყოფოში. ახლა მომჯობინდა და ყოველდღე მაკითხავს, ყოველთვის ვიღაცას უჩივის, ვიღაცას ემდურის... ცოლი არ გამომადგაო, სულ იმ საწყალი მამაჩემის ბრალიაო, ის ქალი არ უნდა მეთხოვაო, მე სხვა მიყვარდაო (მან არ იცის, რომ მე ვიცი მისი ამბავი). შენი სახელი რომ ახსენა, მე ჩემდაუნებურად ვიყვირე, არ გაბედო-მეთქი... შეკრთა, რაღაცნაირად მოიკუნტა, მთლად კანკალდა, თითქოს რაღაცა იერძნო, ადგა და წასვლა დაიპირა. დავამშვიდე, მე იმ ექთანს ვუყვირე-მეთქი და ხელი ოთახისკენ გავიშვერე, მერე მე თვით დავინტერესდი ამბით, დავსვი და ვკითხე, მერე, მერე?.

— მერე იმ აღმასკომის თავმჯდომარის ქალიშვილმა, ჩემმა ცოლმა, მამაჩემი რომ მოსხნეს, მთლად აბუჩად ამიგდო, დამცინოდა მეც და მამაჩემსაც. ერთ დღეს გაჯავრებულმა მიმატოვა, მამამისთან გადავიდა საცხოვრებლად, ამასობაში მამამისიც მოხსნეს და მამაჩემთან ერთად პასუხისგებაში მისცეს. მერე მთლად აგვეშალა ოჯახი, ჩემი ცოლი სხვას გაჰყვა, ორი ბიჭი — ჩემი შვილები ავადმყოფ დედაჩემს მიუგდო და იმის შემდეგ არც კი მოუკითხავს. შარშან დედაც გარდამეცალა და ბავშვები სულ უპატრონოდ დამრჩნენ, ყოველივე ამას ჩემი ავადმყოფობაც დაემატა.

ეს თქვა და პატარა ბავშვივით აზლუქუნდა. შემეცოდა ეს ავადმყოფი და ხელმოცარული კაცი, თან შემეშინდა უფრო შენს გამო, თუმცა ის გარემოება თუ არა, ალბათ ჩვენ ერთმანეთს ვერც გავიცნობდით. მაგრამ მე ახლა პირადი კი არა, ამ საქმის საზოგადოებრივი მხარე მაფიქრებდა. რატომ მოხდა ისე, რომ იმ რაიკომის მდივანმა პიონედამანიც ის აღმასკომის თავმჯდომარის ქალიშვილი აირჩია სარძლოდ და არა შენ. იქნებ ჩვენს დროში შეიქმნა რაღაც კასტა, თანამდებობიანთა და ფულებიანთა კასტა ძველად რომ იყო, ისის მაგვარი რამ? წინათ ხომ დიდიანი და ჩიქოვანი თავის ქალიშვილს არაფრით არ გაატანდა მაქაცარიას თუ მატახერიას, თუნდაც უნიჭიერესი ყოფილიყვნენ ისინი. ეს დიდკაცობის სენი ხომ არ გადაედოთ ჩვენს პროვინციელ თუ ქალაქელ „დიდკაცებს“? ან მაშინ იოლ ცხოვრებას მიჩვეული, მანჭანაზე გადამჯდარი ეს ბიჭი რას ფიქრობდა, ვინ იცის, ვინ იცის?

გამდიდრების მეშჩანური გრძნობები დაეუფლა მათ სულს.' ეს სენი, ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგისა და მათი ოჯახის წევრებისა, ინფექციური ავადმყოფობის მსგავსად გადამდები გახდა. თუ ამ სენისაგან არ გახიერნა ჩვენი სული, ისე ძნელი იქნება პირადი მაგალითის მაჩვენებელი იყოს კომუნისტი ხელმძღვანელი. მე მაგონდება სტუდენტობის წლები. მაშინდელი რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩემი ნათესავი იყო. მე ხშირად დავდიოდი მისას. ორ უბრალო ოთახში ცხოვრობდა ჭონქაძის ქუჩაზე, კარებზეც არავინ ეწერა, ჩვეულებრივად ცხოვრობდა, დამახსოვრდა: ისეთივე უბრალო შუშის თლილი ჭიქებით მოგვიტანდნენ ჩაის, როგორც ოჯახში, სოფელში რომ გვქონდა, ისეთივე უბრალო ფრაეეს კოვზები. სუფრა ჩვეულებრივი: პური, ყველი, კარაქი... ოთახის აეეკ-სამკეაული ისეთივე უბრალო იყო, როგორც შინ გვქონდა, განსხვავება არ იგრძნობოდა არაფერში, ნივთები, გარემოცვა ჩვეულებრივი გახლდათ და ეს გარემოება ერთბაშად გვაახლოებდა, გვაერთებდა ამ ცნობილ ადამიანთან. ეს დიდ სულიერ სიმშვიდეს და კეთილ ატმოსფეროს ქმნიდა. რასაკვირველია, დღეს ცხოვრება წინ წავიდა. რევოლუციაც იმიტომ მოხდა, რომ ადამიანებს უკეთ ეცხოვრათ, უკეთ ეშრომთა, მაგრამ გულსატკივნი განსხვავებას საბჭოთა ადამიანებს შორის უმალვე ცვლის ატმოსფეროს და კეთილ განწყობილებას. ეს ხშირად ავიწყდებათ ჩვენს ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგებს.

მე, როგორც ექიმმა, ვირწმუნე, რომ ადამიანის სულსაც ისე უნდა მკურნალობა, როგორც ხსეულს. მარტო ფიზიკური ჯანმრთელობა რაღას უშველის, თუ სულით ფაფალდა ადამიანი. სულის მკურნალობა კი სხეულის მკურნალობაზე უფრო ძნელია. თუ ბავშვი მეერთამეებისა და ქონების ოღი გზით შემხვეველთა ოჯახში იზრდება, ის უთუოდ ავადმყოფდება ამ ხენით. ახეთი ბავშვების მკურნალობა უფრო ძნელია, ვიდრე ჩვეულებრივად ავადმყოფი ბავშვის.

მამაჩემო! დღეს მივიღე შენი წერილი. მწერ, მე შენი იმედით ვცოცხლობ, შენ კი ისე ბერდები, ცოლს არ თხოულობ. დედაშენი შენს დარღს გადაჰყვა, როგა კვდებოდა, მარტო ის დაიბარა — იმ ბიჭს ცოლი შერთე, ოჯახი უშვილოდ არ გადაეგოსო.

დედის აჩრდილი თვალთაგან აღარ მცილდება და ისიც კარგად მახსოვს, ოდიდან დაბარუნებულს რომ მითხრა, — რაკი შენი თავი უზენაესმა მაჩვენა, ისე სუ მოლოცავ, რომ შენს შვილს არ ვეღირსოო. მე მას პირობა მივეცი, მაგრამ ვაი რომ სიცოცხლეშივე ვერ შევუსრულე ეს ნატვრა. ახლა? ახლაც არ არის ეგეთ გვიან...

მიყვარს მე ჩემი ქალაქი და ამიტომაც ვალდებული ვარ მემკვიდრე დავუტოვო მას, რადგან მინდა, რომ ის, რაც მე ვერ გავაკეთე მისთვის, ჩემმა შვილებმა ზღონ. მიყვარს ჩემი ქალაქი, ჩემი პაციენტები! იმ კვირას ჩვენს ქალაქში გამოჩენილი მუშა რომ არის, ჩვენებური ჯავახია, იმის ცოლი მოვარჩინე, ბიჭი ეყოლა. ჰო, რა ზეიმი იყო! მარტო მის სახლში კი არა, მის მარჯვენს ხალმრთშიც. რკინის ძმებმა ბრიგადირს თვით ხალმრთში გადაუხადეს ძეობა. მეც მიმიწვიეს.

ამ ოფლიან ხალხს რომ ვუყურებ, შენ მაგონდები, მამაჩემო. სიცხე-ჰაპანაქებაში მზეს შეფიცხებული თოხს რომ ურტყამდი მიწაზე და ხახეზე ხვითქი რომ ჩამოგდიოდა, ის მომაგონდა, მათ რომ ვუყურებდი.

ჰე, მართლაც, რა გემო აქვს მათს შრომასაც და მათს ბურობასაც! მე იქ ჩემი მეგობარი ექიმიც თან მახლდა და იცით რა მითხრა: მათ მეგობრობაც ნადი იციან და ხიყვარულიც გულწრფელიო...

ეს კუნთმაგარი და მკლავმოუღლელი ხალხი, რომელთაც ქვეყნის მძიმე შრომა მხრებზე წამოუკიდიათ, უდგას საქართველოს დედაბოძად...



გ. იაშვილის ნახატები.

ფალავანთა გალერია

კუნთმაბარი ხელებს მარჯვედ მოუსვლეტია დედამიწიდან მეტოქე და...

ჭედური ხელოვნების ამ მეტად დინამიური და ლაკონიური ქმნილების ავტორებს მოხდენილად მიუჩენიათ მისთვის ადგილი სტენდის შუაში, ზემოთ.

...აი-უკვე რამდენიმე დღეა ლენინის ქუჩაზე გამვლელები ხედავენ ს. კიროვის სახელობის პარკის შესასვლელთან აღმართულ გემოვნებით შესრულებულ უზარმაზარ ფოტოსტენდს. გულშემატკივრები, ცხადია, გულგრილად ვერ ჩაუვლიან მას გვერდს და კარგა ხნით შეაჩერებენ ყურადღებას ნაცნობ სახეებზე.

ექვს ათეულზე მეტი ფოტოპორტრეტია გამოფენილი აქ: ნონა გაფრინდაშვილი და ვიქტორ სანეევი, ნინო დუმბაძე და ალექსანდრე მეტრეველი, მზია ჯუღელი და არსენ მეკოკიშვილი, გივი კარტოფლია და ვასტანგ ბალავაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი... ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და რეკორდსმენები, კონტინენტის თასების მფლობელნი.

„დიდება საბჭოთა სპორტს! — ვკითხულობთ წარწერას ლითონის ასოებით და გული სიამით გეევსება. მართლაც კარგი საქმე გაუკეთებია საქართველოს სპორტკომიტეტს. სასურველია მხოლოდ, რომ ასეთივე მონუმენტური სპორტული სტენდები თბილისის დანარჩენ რაიონებსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც გაკეთდეს. ეეჭვარეშეა, რომ ყოველივე ეს დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი სპორტის პროპაგანდის საქმეს.

სურათზე: სპორტის მოყვარულები ათვალიერებენ ახალ სტენდს.

გ. სანაია ფოტო.



ჟ. ჟ. მოგორელი

ძველ ბოლშევიკ[illegible] [illegible] [illegible] [